

შპს „ჯოლიო“

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

**შპს „ჯოლიო“
სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
განმარტებითი შენიშვნები	11
დასკვნის ბოლო გვერდი	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯოლიო“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯოლიო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - პირობითი მოსაზრების საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების(ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ფიზიკურ დათვლას და ვერ შევძელით მათი რაოდენობების ალტერნატიული გზით დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგების სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 683,326 ლარის ღირებულებით, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4,073,084 ლარის ღირებულებით. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების განხორციელება მარაგების, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასა და მათთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობასთან მიმართებაში.

კომპანიას დაკავშირებული მხარეებისგან, კერძოდ დამფუძნებლებისგან მიღებული აქვს სესხები, რომლებიც ფასს 9 სტანდარტის შესაბამისად არ არის აღიარებული ამორტიზებული ღირებულებით. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება სასესხო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11,608,695 ლარის ღირებულებით, იხილეთ შენიშვნა N22. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება მიღებულ სესხებთან დაკავშირებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების

აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება გავაძლავოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც ნათქვამია, რომ კომპანია აუცილებელ ნედლეულს, მზესუმზირის იმპორტს ძირითადად ახორციელებდა უკრაინიდან, რუსეთ-უკრაინის ომის გამო კომპანიას არ ჰყავს საჭირო ნედლეულის სტაბილური მომწოდებელი, რის გამოც საწარმოო პროცესი შეჩერებულია. ამასთანავე, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 13,451,130 ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,736,907 ლარი. კომპანიის მთლიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად, 10,488,489 ლარით აღემატება მის მთლიან აქტივებს.

კომპანიის შესაძლებლობა, გააგრძელოს საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული შემასუსტებელ ფაქტორებზე, რომლებიც მოცემულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში. ეს მოვლენები და პირობები, მნიშვნელოვან ექვს ბადებს შპს „ჯოლიო“-ს უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩათვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის უარყოფითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

თბილისი

15 იანვარი, 2025 წ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ინდივიდუალურ ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩათვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის უარყოფითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს (ს/კ: 205198212) (SARAS-F-798362) სახელით

გარიგების პარტნიორი გოჩა ჭოლოკვა (SARAS-A-374286)

თბილისი

15 იანვარი, 2025 წ.



შპს „ჯოლიო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ძირითადი საშუალებები	5	15,326,797	15,838,105
არამატერიალური აქტივები		11,574	11,574
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,338,371	15,849,679
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	683,326	4,073,084
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	238,946	930,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	401,512	98,041
გადახდილი ავანსი	7	277,405	38,644
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	197,249
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,601,189	5,337,853
სულ აქტივები		16,939,560	21,187,532
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	2,962,671	2,962,671
აკუმულირებული ზარალი		(13,451,130)	(6,736,908)
სულ კაპიტალი		(10,488,459)	(3,774,237)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	3,265,684	4,067,005
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,265,684	4,067,005
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	11	11,936	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	251,340	182,541
მოკლევადიანი სესხები	12	23,899,059	20,712,223
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		24,162,335	20,894,764
სულ ვალდებულებები		27,428,019	24,961,769
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,939,560	21,187,532

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი

შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ძირითადი საშუალებები	5	15,326,797	15,838,105
არამატერიალური აქტივები		11,574	11,574
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,338,371	15,849,679
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	683,326	4,073,084
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	238,946	930,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	401,512	98,041
გადახდილი ავანსი	7	277,405	38,644
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	197,249
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,601,189	5,337,853
სულ აქტივები		16,939,560	21,187,532
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	2,962,671	2,962,671
აკუმულირებული ზარალი		(13,451,130)	(6,736,908)
სულ კაპიტალი		(10,488,459)	(3,774,237)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	3,265,684	4,067,005
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,265,684	4,067,005
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	11	11,936	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	251,340	182,541
მოკლევადიანი სესხები	12	23,899,059	20,712,223
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		24,162,335	20,894,764
სულ ვალდებულებები		27,428,019	24,961,769
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,939,560	21,187,532

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი



შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“
 მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	13	7,845,878	12,207,485
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(10,304,691)	(12,175,685)
საერთო მოგება / (ზარალი)		(2,458,813)	31,800
დისტრიბუციის ხარჯი	16	(290,938)	(764,502)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,709,203)	(1,954,163)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(119,136)	(135,284)
საოპერაციო ზარალი		(4,578,090)	(2,822,149)
საპროცენტო შემოსავალი		2,997	623
საპროცენტო ხარჯი		(1,943,305)	(1,602,391)
მოგება საკუროს სხვაობიდან, წმინდა	18	31,766	2,172,263
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(334,867)	(239,394)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20	107,435	103,741
ზარალი დაბეგვრამდე		(6,714,064)	(2,387,307)
მოგების გადასახადი		(158)	(601)
წლის წმინდა ზარალი		(6,714,222)	(2,387,908)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი			
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		(6,714,222)	(2,387,908)

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი

შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	13	7,845,878	12,207,485
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(10,304,691)	(12,175,685)
საერთო მოგება / (ზარალი)		(2,458,813)	31,800
დისტრიბუციის ხარჯი	16	(290,938)	(764,502)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,709,203)	(1,954,163)
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(119,136)	(135,284)
საოპერაციო ზარალი		(4,578,090)	(2,822,149)
საპროცენტო შემოსავალი		2,997	623
საპროცენტო ხარჯი		(1,943,305)	(1,602,391)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	18	31,766	2,172,263
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19	(334,867)	(239,394)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20	107,435	103,741
ზარალი დაბეგრამდე		(6,714,064)	(2,387,307)
მოგების გადასახადი		(158)	(601)
წლის წმინდა ზარალი		(6,714,222)	(2,387,908)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი			
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		(6,714,222)	(2,387,908)

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი



შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,962,671	(4,349,000)	(1,386,329)
წლის ზარალი	-	(2,387,908)	(2,387,908)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(2,387,908)	(2,387,908)
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,962,671	(6,736,908)	(3,774,237)
წლის ზარალი	-	(6,714,222)	(6,714,222)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(6,714,222)	(6,714,222)
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,962,671	(13,451,130)	(10,488,459)

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს.

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი

შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,962,671	(4,349,000)	(1,386,329)
წლის ზარალი	-	(2,387,908)	(2,387,908)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(2,387,908)	(2,387,908)
2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,962,671	(6,736,908)	(3,774,237)
წლის ზარალი	-	(6,714,222)	(6,714,222)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(6,714,222)	(6,714,222)
2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,962,671	(13,451,130)	(10,488,459)

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს.

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი



შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	2023	2022
დებიტორებისგან მიღებული ფულადი სახსრები	8,911,727	11,409,329
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(8,080,046)	(15,726,320)
საგადასახადო ვალდებულებების დაფარვისთვის გაცემული ფულადი სახსრები	(709,828)	(1,193,027)
სხვა	(125,562)	(108,461)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,709)	(5,618,479)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(376,471)	(1,055,176)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	163,175	10,253
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(213,296)	(1,044,923)
ფულადი სახსრების ზრდა მიღებული სესხებიდან	3,889,038	21,383,567
სესხის ძირის გადახდა	(1,589,574)	(17,021,607)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,818,913)	(1,493,260)
საკუროსო სხვაობის გავლენა	39,925	(70,258)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	520,476	2,798,442
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	303,471	(3,864,960)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	98,041	3,963,001
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	401,512	98,041

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი

შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ჯოლიო“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	2023	2022
დებიტორებისგან მიღებული ფულადი სახსრები	8,911,727	11,409,329
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(8,080,046)	(15,726,320)
საგადასახადო ვალდებულების დაფარვისთვის გაცემული ფულადი სახსრები	(709,828)	(1,193,027)
სხვა	(125,562)	(108,461)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(3,709)	(5,618,479)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(376,471)	(1,055,176)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	163,175	10,253
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(213,296)	(1,044,923)
ფულადი სახსრების ზრდა მიღებული სესხებიდან	3,889,038	21,383,567
სესხის ძირის გადახდა	(1,589,574)	(17,021,607)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,818,913)	(1,493,260)
საკუროს სხვაობის გავლენა	39,925	(70,258)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	520,476	2,798,442
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	303,471	(3,864,960)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	98,041	3,963,001
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	401,512	98,041

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 15 იანვარს

დირექტორი:

პაატა ლიპარტელიანი



შენიშვნები გვერდებზე 11-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2019 წლის 8 აპრილს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო”-ს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 405328658.

კომპანიის იურიდიული მისამართია დ. გულიას ქ. № 4, თბილისი 0114, საქართველო.

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

- პაატა ლიპარტელიანი (01015025691) – 30%
- გურამ ლიპარტელიანი (01005004960) – 30%
- ხათუნა ლიპარტელიანი (01008032822) – 40%

კომპანიის დირექტორი არის პაატა ლიპარტელიანი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მზესუმზირის მარცვლის გადამამუშავების გზით მზესუმზირის ზეთის და შროტის წარმოება.

საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმართავს საქართველოში. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ართულებს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიების წინაშე მდგომ გამოწვევებს. კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს - ან საერთოდ მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას - კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2023	31 დეკ 2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიის აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 13,451,130 ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,736,907 ლარი. კომპანიის მთლიანი ვალდებულებები მნიშვნელოვნად, 10,488,489 ლარით აღემატება მის მთლიან აქტივებს.

კომპანია პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელ ნედლეულს, მზესუმზირის იმპორტს ძირითადად ახორციელებდა უკრაინიდან. რუსეთ-უკრაინის ომის გამო კომპანიას არ ჰყავს საჭირო ნედლეულის სტაბილური მომწოდებელი, რის გამოც საწარმოო პროცესი შეჩერებულია. 2023 წლის განმავლობაში ხდებოდა წინა პერიოდებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მდგომარეობის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დამკვეთის ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მიწას ცვეთა არ არიცხება. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ცვეთის დარიცხვისთვის:

სასარგებლო ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	
შენობა-ნაგებობები	20
საოფისე აღჭურვილობა	25-50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-5
ლაბორატორიული მოწყობილობები	10

ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება გაყიდვისას ან როდესაც არ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა და გასხვისებიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების გაუქმებისას (გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც აქტივი იქნა აღიარებული.

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად. გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლები მოიცავს, იმპორტირებული საკონდიტრო ნაწარმის რეალიზაციას, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი მოგება/ზარალისგან.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება მისი წესდებით. საწესდებო კაპიტალში ნებისმიერი ცვლილება ხდება კომპანიის ერთადერთი აქციონერის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოდგენილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ. საწესდებო კაპიტალში შენატანები შეიძლება განხორციელდეს ფულადი სახსრების ან არაფულადი აქტივების სახით. როდესაც არაფულადი აქტივები შედის კომპანიის კაპიტალში, ასეთი აქტივების ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი, პროფესიონალი, კვალიფიციური შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასებით და კაპიტალი იზრდება ამ შეფასებისას განსაზღვრული ოდენობით.

შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, რაც ნიშნავს, რომ შემოსავლების აღიარება ხდება მიღებული და არა ფულადი სახსრების მიღებისას და ხარჯების აღიარება ხდება რეალურად წარმოქმნისას და არა გადახდისას.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის განმარტება 2 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვერა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

შპს „ჯოლიო“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი
ქართულ ლარში

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილო ბა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ლაბორატორიუ ლი მოწყობილობებ ი და აპარატურა	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმ ოწყობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება									
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	423,550	7,137,505	7,566,141	155,770	144,690	97,021	132,266	6,475	15,663,418
შეძენები	800	112,510	677,386	21,373	35,691	13,456	55,300	18,517	935,033
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	424,350	7,250,015	8,243,527	177,143	180,381	110,477	187,566	24,992	16,598,451
შესყიდვა	-	93,323	226,696	1,308	10,004	9,470	-	1,737	342,839
გასვლა	-	-	(502)	-	(5,717)	(10,467)	(187,566)	-	(204,553)
ტრანსფერი	-	-	(4,023)	-	-	4,023	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	424,350	7,343,338	8,465,698	178,451	184,668	113,503	-	26,729	16,736,738
დაგროვილი ცვეთა									
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(8,604)	(93,141)	(10,700)	(4,337)	(2,118)	(9,835)	-	(128,735)
წლის ცვეთის დარიცხვა	-	(178,174)	(392,754)	(20,403)	(15,792)	(10,180)	(14,308)	-	(631,611)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(186,778)	(485,895)	(31,103)	(20,129)	(12,298)	(24,143)	-	(760,346)
წლის ცვეთის დარიცხვა	-	(177,668)	(458,460)	(12,160)	(30,689)	-	-	(253)	(679,230)
ცვეთის შებრუნება	-	-	-	-	851	-	28,785	-	29,636
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(364,446)	(944,355)	(43,263)	(49,967)	(12,298)	4,642	(255)	(1,409,940)
საბალანსო ღირებულება									
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	423,550	7,128,901	7,473,000	145,070	140,353	94,903	122,431	6,475	15,534,683
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	424,350	7,063,237	7,757,632	146,040	160,252	98,179	163,423	24,992	15,838,105
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	424,350	6,978,893	7,521,343	135,189	134,702	101,205	4,642	26,474	15,326,797

მთლიანი ცვეთის ხარჯი ასახულია პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საქონელი	155,045	3,428,551
ნედლეული და მასალები	361,137	471,473
სხვა საწარმოო მარაგები	167,144	173,060
სულ მარაგები	683,326	4,073,084

საქონელი ძირითადად შედგება მზა პროდუქციისგან ან სხვა კომპონენტებისგან, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას წარმოების პროცესში, ესენია: მზესუმზირის ზეთი, კოპტონი, მზესუმზირა და სხვა

ნედლეულსა და სხვა მასალებში შედის სხვადასხვა დანამატები, რომლებიც აუცილებელია მზა პროდუქციის საწარმოებლად, ასევე მარაგები, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისთვის, როგორებიცაა: მუყაოს ყუთები, ბოთლები, საცობები და სხვა.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	202,582	826,568
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	29,145	103,350
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	7,219	917
გადახდილი ავანსები	277,405	38,644
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	516,351	969,479

- მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.
- სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან.
- სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	66,346	89,253
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	335,166	8,577
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	211
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	401,512	98,041

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ჯამური კაპიტალი შედგება ორი ნაწილისაგან: საწესდებო კაპიტალი და დაუფარავი ზარალი. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ განუხორციელებია კაპიტალში შენატანები, შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,962,671 ლარს, ისევე, როგორც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის ზარალი შეადგენს 6,714,222 ლარს, რის შედეგადაც დაგროვილი ზარალი შეადგენს 13,451,130 ლარს.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	62,682	148,094
მიღებული ავანსები	155,358	4,838
გადასახდელი ხელფასები	33,300	29,609
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	251,340	182,541

11. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდებოდა 197,249 ლარის საგადასახადო აქტივი, რომლის ძირითადი ნაწილი მოიცავს ჩასათვლელი დღგ-ის თანხებს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უფიქსირდება 11,936 ლარის საგადასახადო ვალდებულება, რომელიც შედგება გადასახდელი დღგ-ის და საშემოსავლო გადასახადისგან.

შპს „ჯგოლიო“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი
ქართულ ლარში

12.მიღებული სესხები

ორგანიზაცია / სესხი	სესხის ნომერი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ხათუნა ლიპარტელიანი #1	#02-2019 / #01-2019 / #01-2021 / #01-2020 / #02-2020	29/05/2019	18/02/2022	9.5% / 8%	USD	2,227,791	2,237,367
ხათუნა ლიპარტელიანი #2	#04-2022	21/11/2022	21/11/2024	0.0%	USD	53,788	54,348
ხათუნა ლიპარტელიანი #3	#21.12.2022/3	21/12/2022	21/06/2024	0.0%	USD	282,387	283,710
ხათუნა ლიპარტელიანი #4	#11.01.2023/3	11/01/2023	25/07/2024	0%	USD	215,152	-
ხათუნა ლიპარტელიანი #5	#24.01.2023/1	24/01/2023	24/02/2023	0%	USD	5,110	-
ხათუნა ლიპარტელიანი #6	#25.01.2023/1	25/01/2023	25/07/2024	0%	GEL	191,500	-
ხათუნა ლიპარტელიანი #7	#07.02.2023/1	07/02/2023	07/03/2023	0%	GEL	3,737	-
ხათუნა ლიპარტელიანი #8	#14.02.2023/1	14/02/2023	14/08/2024	0%	GEL	17,600	-
გურამ ლიპარტელიანი #1	#21.12.2022/2	21/12/2022	21/06/2024	0.0%	USD	500,292	502,623
გურამ ლიპარტელიანი #2	#28.12.2022/2	28/12/2022	28/06/2024	0.0%	USD	484,092	486,360
გურამ ლიპარტელიანი #3	#11.01.2023/2	11/01/2023	25/07/2024	0%	USD	403,410	-
პაატა ლიპარტელიანი #1	N 16/12	16/12/2019	16/12/2021	10.0%	USD	3,203,874	3,216,436
პაატა ლიპარტელიანი #2	#21.12.2022/1 / #28.12.2022/1	21/12/2022	28/06/2024	0%	USD	564,774	567,420
პაატა ლიპარტელიანი #3	#12-2022	16/12/2022	16/12/2023	0.0%	EUR	22,711	22,493
პაატა ლიპარტელიანი #4	#02.01.2023/1	02/01/2023	02/02/2023	0%	GEL	6,335	-
პაატა ლიპარტელიანი #5	#11.01.2023/1	11/01/2023	25/07/2024	0%	USD	242,045	-
პაატა ლიპარტელიანი #6		02/01/2023	25/07/2027	0%	USD	40,341	-
გალაქსი ჯორჯია	204508274	11/03/2022	20/09/2023	11.0%	GEL	264,071	264,071
გურამ ლიპარტელიანი #3	N 26/12 / N 23/12 / N 10/01 / N 30/01 / N 23/01 / #13.01.2020	23/12/2019	30/01/2022	10%	USD	3,143,756	3,156,349
საქართველოს ბანკი - 3,000,000 აშშ დოლარი	8214090	30/03/2022	07/08/2023	8.5%	USD	7,111,522	5,060,094
საქართველოს ბანკი - 1,000,000 აშშ დოლარი	8458303	05/08/2022	07/08/2023	9.9%	USD	2,716,883	2,702,000
საქართველოს ბანკი - 5,000,000 ლარი	6264552	13/09/2019	11/12/2026	16.0%	GEL	3,157,821	3,393,189
საქართველოს ბანკი - 2,100,000 აშშ დოლარი	8214069	30/03/2022	11/12/2026	12.0%	USD	2,305,751	2,575,457
საქართველოს ბანკი - 100,000 აშშ დოლარი	8754757	27/12/2022	06/10/2023	15.0%	USD	-	257,311
სულ, მათ შორის						27,164,743	24,779,228
ძირი						26,176,378	23,587,798
პროცენტი						988,365	1,191,430

სესხების რეკონსილაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 იანვარი 2022	23,305,854
სესხის თანხის ზრდა	21,383,567
წლის საპროცენტო ხარჯი	1,602,391
ძირი თანხის დაფარვა	(17,503,320)
გადახდილი პროცენტი	(1,573,200)
კონვერტირების სხვაობა	(2,436,064)
31 დეკემბერი 2022	24,779,228
31 დეკემბერი 2022	24,779,228
სესხის თანხის ზრდა	3,889,038
წლის საპროცენტო ხარჯი	1,943,305
ძირი თანხის დაფარვა	(1,589,574)
გადახდილი პროცენტი	(1,818,913)
კონვერტირების სხვაობა	(38,341)
31 დეკემბერი 2023	27,164,743

13. შემოსავლები

შემოსავლები	2023	2022
შემოსავლები წარმოადგენს არარაფინირებული ზეთის რეალიზაციიდან	3,921,365	4,144,737
შემოსავლები არარაფინირებული ზეთის რეალიზაციიდან	-	3,917,444
შემოსავლები შროტის რეალიზაციიდან	1,694,665	2,239,385
შემოსავალი რაფინირებული ზეთის რეალიზაციიდან	1,902,935	1,835,744
სხვა შემოსავლები	326,913	70,175
სულ შემოსავლები	7,845,878	12,207,485

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარებულია დროის კონკრეტულ მომენტში.

14. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	2023	2022
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	8,619,470	10,660,195
პირდაპირი ხელფასი	432,751	677,336
ცვეთა და ამორტიზაცია	636,128	557,021
დამხარე მასალების ჩამოწერა	616,342	332,663
მარაგების კორექტირება	-	(51,530)
სულ რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	10,304,691	12,175,685

მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
შრომის ანაზღაურება	966,990	751,918
კომუნალური ხარჯები	200,799	222,843
სხვა საგადასახადო ხარჯი	164,476	202,140
საკონსულტაციო ხარჯები	98,073	178,572
რემონტი	4,061	147,703
საბანკო ხარჯი	62,646	91,639
ცვეთა და ამორტიზაცია	51,910	74,590
საიჯარო ქირა	34,407	51,164
საპენსიო უზრუნველყოფის ფონდის ანარიცხები	47,110	49,540
მივლინების ხარჯი	4,671	46,380
დაზღვევა	34,832	15,379
კომუნიკაციის ხარჯები	9,753	10,096
სხვა ხარჯები	28,067	112,199
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,408	
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,709,204	1,954,163

16. დისტრიბუციის ხარჯები

დისტრიბუციის ხარჯი	2023	2022
შენახვისა და მიტანის ღირებულება	281,371	599,386
ტრანსპორტირების ხარჯი	2,214	122,722
სხვა ხარჯები	7,353	42,394
სულ დისტრიბუციის ხარჯი	290,938	764,502

17. სხვა საოპერაციო ხარჯები

2023 წლის განმავლობაში სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს 119,136 ლარს, ხოლო 2022 წლის განმავლობაში 135,284 ლარს. აღნიშნული თანხების უდიდესი ნაწილი მოიცავს საწარმოო პროცესში საწვავის სახით გახარჯულ მზესუმზირის ქერქს და მცირე რაოდენობით საწარმოს ექსპლუატაციისთვის საჭირო ზეთს.

18. გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი, წმინდა

	2023	2022
სასესხო ვალდებულებები	38,341	2,436,064
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,328	(10,476)
ფული და ფულის ეკვივალენტები	39,925	(183,042)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(48,828)	(70,283)
მოგება საკუროს სხვაობიდან	31,766	2,172,263

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

2023 წლის განმავლობაში სხვა არასაოპერაციო ხარჯები შეადგენს 334,867 ლარს, ხოლო 2022 წელს 239,394 ლარს. 2023 წლის განმავლობაში არსებული არასაოპერაციო ხარჯები მოიცავს მარაგებიდან ჩამოწრილ მზესუმზირის ზეთს, უვარგისი ინსტრუმენტების ჩამოწერას, არამატერიალურ აქტივებთან დაკავშირებულ კორექტირებებს და მცირე ოდენობით უსაბუთო ხარჯს.

20. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2023 წელს შეადგენს 107,435 ლარს, საიდანაც 103,596 ლარი შეადგენს კომპანიის დებიტორთან დარიცხულ ჯარიმას გადახდის დაგვიანებისთვის. 2022 წელს სხვა არასაოპერაციო შემოსავლების დიდ ნაწილს წარმოადგენდა სტანდარტით განსაზღვრული მზესუმზირის ხარისხის შეუსაბამობის შედეგად მომწოდებლიდან ჩარიცხული თანხები.

21. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების

მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2023	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	383,321	(22,234,624)	(21,851,303)
ევრო	1,190	(27,536)	(26,346)
სულ	384,511	(22,262,160)	(21,877,649)

31 დეკემბერი 2022	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	727,634	(20,329,964)	(19,602,330)
ევრო	(20)	(24,873)	(24,893)
სულ	727,614	(20,354,837)	(19,627,223)

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ან გაუფასურებულიყო აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
მოგება-ზარალი	2023	2022	2023	2022
ლარის გამყარება	3,277,696	2,940,350	3,952	3,734
ლარის დევალვაცია	(3,277,696)	(2,940,350)	(3,952)	(3,734)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს, მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2023	<1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	516,351	-	516,351
ფული და ფულის ეკვივალენტები	401,512	-	401,512
სულ ფინანსური აქტივები	917,863	-	917,863
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(23,899,059)	(3,265,684)	(27,164,743)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(251,340)	-	(251,340)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(24,150,399)	(3,265,684)	(27,416,083)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(23,232,536)	(3,265,684)	(26,498,220)

31 დეკემბერი 2022	<1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	930,835	-	930,835
ფული და ფულის ეკვივალენტები	98,041	-	98,041
სულ ფინანსური აქტივები	1,028,876	-	1,028,876
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(20,712,223)	(4,067,005)	(24,779,228)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(177,703)	-	(177,703)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(20,889,926)	(4,067,005)	(24,956,931)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(21,918,802)	(4,067,005)	(25,985,807)

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. ამასთანავე, 2022 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება მის ფინანსურ აქტივებს, რაც კომპანიას ლიკვიდურობის რისკის წინაშე აყენებს.

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	516,351	516,351	969,479	969,479
ფული და ფულის ეკვივალენტები	401,512	401,512	98,041	98,041
მიღებული სესხები	(27,164,743)	(27,164,743)	(24,779,228)	(24,779,228)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(251,340)	(251,340)	(182,541)	(182,541)

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(გ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	204,460	316,173
სულ	204,460	316,173

		31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	ნაშთი დაკავშ. მხარესთან	შესაბამისი მუხლის სრული თანხა	ნაშთი დაკავშ. მხარესთან	შესაბამისი მუხლის სრული თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლის ქვეშ	15,815	238,946	14,377	930,835
მიღებული სესხები	საერთო კონტროლის ქვეშ	11,608,695	27,164,743	10,525,912	24,779,228

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2024 წელს კომპანიამ იჯარით გასცა ქალაქ თბილისში არსებული 376.51 კვ.მ. კომერციული ფართი (ს/კ 01.18.05.008.140.01.04.500), საიჯარო ღირებულება შეადგენს 5,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.

კომპანიამ სს „საქართველოს ბანკი“-სგან 2024 წლის 13 აგვისტოს აიღო 262,200 აშშ დოლარის სესხი (სესხის ნომერი: N 11027168). კომპანიამ ასევე მოახდინა სს „საქართველოს ბანკი“-თან არსებული სასესხო ვალდებულებების დაფარვა:

- სესხი N 8214069 - 851,066 აშშ დოლარი (2,277,026 ლარი);
- სესხი N 8458303 - 1,000,000 აშშ დოლარი (2,766,058 ლარი);
- სესხი N 8214090 - 2,622,722 აშშ დოლარი (7,370,110 ლარი);
- სესხი N 11027168 - 5,784 აშშ დოლარი (15,693 ლარი)
- სესხი N 6264552 - 3,035,730 ლარი.

შპს „ჯოლიო“

მმართველობითი ანგარიშგება - 2023

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის მიმოხილვა

შპს „ჯოლიო“ (405328658) (შემდგომში „კომპანია“) არის 2019 წლის 8 აპრილს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, დიმიტრი გულიას ქუჩა, N 4, საოფისე ფართი, სართული 2

საიდენტიფიკაციო კოდია: 405328658

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის დირექტორია პაატა ლიპარტელიანი (01015025691)

კომპანიის 30 % წილის მესაკუთრე არის პაატა ლიპარტელიანი (01015025691)

კომპანიის 30 % წილის მესაკუთრე არის გურამ ლიპარტელიანი (01005004960)

კომპანიის 40 % წილის მესაკუთრე არის ხათუნა ლიპარტელიანი (01008032822)

შპს „ჯოლიო“ ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე კერძოდ ქ. ფოთში ნედლი მზესუმზირის მარცვლის გადამამუშავების გზით მზესუმზირის ზეთის და შროტის წარმოებას

კომპანიის ბიზნეს პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- ნედლეულის შესყიდვა (ნედლეულის შესყიდვა ძირითადად უკრაინიდან ნაყარი სახით ძირითადად 1 800 – 2 500 ტონიანი მოცულობის გემებით).
- ნედლეულის მიღება დასაწყობება.
- ნედლეულის პირველადი დამუშავება რაც მოიცავს გასუფთავებას და წმენდას.
- ნედლეულის დამუშავება საპრეს საამქროში. აქ მოდულში ხორციელდება მზესუმზირის მარცვლის მტვრევა და გაფრცქვნა რომელსაც თანდ სდებს დამტვრეული მარცვლების გაცხელება და შემდგომ წნეხის მეშვეობით მისგან ზეთის გამოწურვა. აღნიშნული პროცესის სედეგად მიიღება წნეხის შედეგად მიღებული პირველადი ზეთი, მზესუმზირის კოპტონი და მზესუმზირის ჩენჩო (რომელიც გამოიყენება როგორც საწვავი მასალა ჩვენს წარმოებაში).
- შემდგომი ეტაპი მოიცავს მზესუმზირის კოპტონიდან ნარჩენი ზეთის ამოღების მიზნით მის ექსტრაქტორში დამშავებას. სადაც ხდება სოლვენტის მეშვეობით ნარჩენი ზეთის ამოღება და საბოლოო ჯამში მიირება ექსტრაგირებული არარფინირებული ზეთი და მზესუმზირის შროტი (<1,5% ზეთოვნების მაჩვენებლით).
- წარმოების შემდგომი ეტაპი მოიცავს არარფინირებული ზეთის რაფინირების სრულ ციკლს რომლის შემდეგაც ხორციელდება მისი ჩამოსმა და შეფუთვა

- რაც შეეხება მზესუმზირის შროტს , მისი საბოლოო დამუშავება მოიცავს გრანულირებას.

სტრატეგია, განვითარების გეგმა

კომპანიის საწარმო და ინფრასტრუქტურული ჰაბი განთავსებულია ქ. ფოთში ქავჭავაძის N IV ჩიხი #6 - ში, ხოლო კომპანიის სათაო ოფისი განთავსებული ქ. თბილისში გულია N4 ში. დაარსებიდან კომპანიამ განვლო განვითარების შემდეგი ეტაპები

- აპრილი - 2019 წ. კომპანიის პირველადი რეგისტრაცია
- მაისი - 2019 წ. კომპანიამ შეისყიდა 7 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ქ. ფოთში საწარმოს სამშენებლო სამუშაოებისთვის
- იანვარი - 2021 წ. სატესტო რეჟიმში მუშაობის პირობებში - დაფიქსირდა მზესუმზირის შროტის პირველი ადგილობრივი რეალიზაცია
- იანვარი - 2021 წ. სატესტო რეჟიმში მუშაობის პირობებში - დაფიქსირდა მზესუმზირის არარეგულირებული ზეთის პირველი ადგილობრივი რეალიზაცია
- დეკემბერი - 2021 წ. ბოთლში ჩამოსხმული რეგულირებული ზეთის პირველადი რეალიზაცია
- დეკემბერი - 2021 წ. საწარმო მიღებულია ექსპლოატაციაში
- თებერვალი - 2022 წ. წარმატებით იქნა მონიჭებული ISO 22000:2018 სერტიფიკატი
- იანვარი - 2022 წ. - არარეგულირებული ზეთის პირველი ექსპორტი
- 2022 წლიდან 2023 წლის სექტემბრის თვემდე კომპანია აქტიურად ახორციელებდა ზეთის რეალიზაციას როგორც შიდა ბაზარზე ასევე აქტიურად გაქონდა ექსპორტზე.
- 2023 წლის სექტემბრის თვიდან ბაზარზე არსებული არასტაბილური მდგომარეობის გამო კომპანიამ დროებით შეაჩერა ფუნქციონირება.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა და რისკების მენეჯმენტი

მთავარი ფინანსური ინდიკატორები:

ლარი	2023
ამონაგები	7,845,878
წმინდა ზარალი	(6,714,222)

გაყიდვები ხორციელდება 2 ვალუტაში:

USD – 4,241,194

GEL – 3,604,684

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს:	2023
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	(8,619,470)
პირდაპირი ხელფასი	(432,751)
ცვეთა და ამორტიზაცია	(636,127)
დამხარე მასალების ჩამოწერა	(616,342)

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს:	2023
შრომის ანაზღაურება	(966,990)
კომუნალური ხარჯები	(200,799)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(164,476)
საკონსულტაციო ხარჯები	(98,073)
რემონტი	(4,061)
საბანკო ხარჯი	(62,646)
ცვეთა და ამორტიზაცია	(51,910)
საიჯარო ქირა	(34,407)
საპენსიო უზრუნველყოფის ფონდის ანარიცხები	(47,110)
მივლინების ხარჯი	(4,671)
დაზღვევა	(34,832)
კომუნიკაციის ხარჯები	(9,753)
სხვა ხარჯები	(35,420)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1,409)
შენახვისა და მიტანის ღირებულება	(281,371)
ტრანსპორტირების ხარჯი	(2,214)

რისკების მართვა

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფინანსური ხარჯი, რომელიც წარმოიშვება როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადლებულებებს და დავალიანება ყალიბდება საექვო მოთხოვნად. ფინანსური აქტივების არსებული მთლიანი ნაშთი არის მაქსიმალური შესაძლო საკრედიტო რისკი. შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრისათვის საკრედიტო რისკი არის შემდეგი:

კომპანია საკმაოდ ეფექტურად ახერხებს პარტნიორებთან თანამშრომლობას, და გაწეული მომსახურების სანაცვლო ანაზღაურებას ყოველთვის გონივრულ ვადაში იღებს.

კომპანია 2023 წლის განმავლობაში არ იყენებდა საკრედიტო რისკის დაზღვევის სხვა ფინანსურ ინტრუმენტს.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი წლის ბოლოს არის 189,469 ლარი.
აშშ დოლარი - 49,477 ლარი

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობა განსაზღვრავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას მიმდინარე ფინანსური აქტივებით.

კომპანიის ყოველთვიური ხარჯების 88%-ს შეაგდენს გადასახდელი ხელფასები. რისკის თავიდან აცილების მიზნით, მენეჯმენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა რომ ფულადი სახით კომპანიის საბანკო ანგარიშზე ყოველთვის იყოს განთავსებული 5 თვის ხელფასის ოდენობის თანხა.

31.12.2023 მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში:

ევროში - 1,190 ლარი

დოლარში - 333,976 ლარი

თავის განკარგულებაში არებული თავისუფალი ფულადი სახსრები კომპანიის საკრედიტო რისკს 100% აზღვევს.

სავალუტო რისკი - რადგანაც კომპანია შემოსავალს იღებს უხროურ ვალუტაში, მეტ წილად აშშ დოლარში, ამიტომ ძირითადი ხარჯები(ხელფასები და იჯარა) ხელშეკრულებებით აქვს ასევე შეთანხმებული აშშ დოლარში. ეს მიდგომა მეტწილად ამცირებს კომპანიის სავალუტო რისკს.

საბანკო ანგარიშზე სახსრები ინახება ასევე უცხოურ ვალუტაში.

ამის გათვალისწინებით ლარის კურსის ცვალებადობა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში პირდაპირ პროპორციულად ზემოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგზე. 2023 წელს ლარმა მეტნაკლებად შეინარჩუნა მდგრადი კურსი ამიტომ კურსთაშორისმა მოგებამ შეადგინა 31,766 ლარი, მთლიანი ამონაგების 1%.

საბაზრო რისკები - ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად იზრდება.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, არაფინანსური ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან;

კომპანიის 2023 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

მიმდინარე აქტივები				
ლიკვიდურობის კოეფ. =			1,601,189	
		=		= 0.07
	მიმდინარე		24,162,335	
	ვალდებულებები			
სწრაფი ლიკვიდურობა =	მიმდინარე	აქტივები-	917,863	
	მარაგები			
		=		= 0.04
	მიმდინარე		24,162,335	
	ვალდებულებები			
მოგება საკუთარ კაპიტალ =	წმინდა მოგება		(13,451,130)	
		=		= -4.5
	საკუთარი კაპიტალი		2,962,671	

კომპანიის 2022 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

მიმდინარე აქტივები				
ლიკვიდურობის კოეფ. =			5,337,853	
		=		= 0.26
	მიმდინარე		20,894,763	
	ვალდებულებები			
სწრაფი ლიკვიდურობა =	მიმდინარე	აქტივები-	1,264,769	
	მარაგები			
		=		= 0.06
	მოკლევადიანი		20,894,763	
	ვალდებულებები			

$$\text{მოგება საკუთარ კაპიტალ} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{(6,736,907)}{2,962,671} = -2.27$$

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას, რომ მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას

საკადრო პოლიტიკა


კომპანია ზრუნავს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და კომფორტულ სამუშაო გარემოზე. კომპანია ცდილობს დაიცვას შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა. თანამშრომელთა სამუშაო ადგილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობდა 74 თანამშრომელი, საიდანაც 5% მდებდრობითი სქესის წარმომადგენელია. 2023 წელში განახლდა კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა, და სთავაზობს თანამშრომლებს დაზღვევის საშუალო პაკეტს როგორც დამატებით ბენეფიტს.

უსაფრთხოება

მენეჯმენტი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების და ვიზიტორების უსაფრთხოებას ოფისში. ოფისი განთავსებულია კეთილ მოწყობილ ბიზნეს ცენტრში „ატრიუმი“. კომპანიას სხვა ფილიალები არ გააჩნია.

ბიზნეს ცენტრში გათვალისწინებული და დაცული არის უსაფრთხოების ყველა ნორმა.

ორგანიზაციის სტრუქტურა



ანტი-კორუფციული პოლიტიკა


კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს „ჯოლიო“-ს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 15 იანვარს და ადასტურებენ:

სახელი: პაატა ლიპარტელიანი

პოზიცია: დირექტორი

ორგანიზაციის სტრუქტურა



ანტი-კორუფციული პოლიტიკა

კომპანია იჩენს ნულოვან ტოლერანტობას კორუფციისა და თაღლითობის მიმართ. ქრთამის გაცემის ქმედებები არის ყოველად დაუშვებელი, და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს. მენეჯმენტის მკაფიო დამოკიდებულების შედეგია, რომ კომპანიაში ერთხელაც არ დაფიქსირებულა ბიზნეს ეთიკის საწინააღმდეგო ქმედება.

შპს „ჯოლიო“-ს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია 2025 წლის 15 იანვარს და ადასტურებენ:

სახელი: პაატა ლიპარტელიანი

პოზიცია: დირექტორი

